ISBN 978-9941-8-1964-3

9 789941 819643

LANGUAGE SCHOOL LS www.lsgeorgia.com

Reading Materials III

Reading Materials III contains three books. B2 level of language proficiency. The twelve chapters of Biliki III student textbook are in line with the content and the interviews. In this book:

Part 1 contains active dialogues

Part 2 contextual texts oriented on exercises for lexicon and text understanding

Part 3 belongs to the cluster dictionary with its authentic examples.

Components

BILIKI is a multi-level course designed to take students from first introduction to Georgian up to a fully proficient use of the language.

BILIKI III provides stimulation input and encourage discussion, making learning interesting and relevant to today's world. The clear organization with each lesson means the book is easy and enjoyable to use.

BILIKI III Student book offers unique choice flexibility in teaching and learning Georgian. The level is B2 the 12 chapters and 3 progress checks of the Student's book provide a core syllabus of a minimum of 80 hours work. the resource packs contain optional communicative activities linked to the Student's Book, which can be used to supplement lessons, revise specific language and structures, and provide variety in class.

ნანა შავთვალაძე/Nana Shavtvaladze

Level III

ბილიკი

Reading Materials III

ნანა შავთვალაძე
Nana Shavtvaladze

ბილიკი

საკითხავი მასალა

III Book

Reading Materials

ნანა შავთვალაძე
Nana Shavtvaladze

ბილიკი

საკითხავი მასალა

III

თბილისი
2019

Author: Nana Shavtvaladze is the director of Language School, which is located in Tbilisi, Georgia. Language School offers classes in Georgian and Russian for expatriate students. Nana holds a PHD in linguistics from Tbilisi State University. In addition to teaching, she has authored more than fifty academic articles and thirty two books.

წიგნი „საკითხავი მასალა III“ შედგება სამი ნაწილისგან. ენის ფლობის B2 დონეს წარმოადგენს. ბილიკი III-ის მოსწავლის წიგნის თორმეტ კარს შინაარსობრივად შეესაბამება ინტერვიუები და ტექსტები. ამ წიგნში:

- 1-ელი ნაწილი – აქტიური დიალოგებია
- მე-2 ნაწილი – შინაარსობრივად მისადაგებული ტექსტები ლექსიკონითა და ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები
- მე-3 ნაწილი – ეკუთვნის ბუდობრივ ლექსიკონს თავისი ავთენტური მაგალითებით.

Reading Material III contains three books. B2 level of language proficiency. The twelve chapters of Biliki III student textbook are in line with the content and the interviews. In this book:

- Part 1 contains active dialogues
- Part 2 contextual texts oriented on exercises for lexicon and text understanding
- Part 3 belongs to the cluster dictionary with its authentic examples.

Author’s Acknowledgements

I am very grateful to everyone who has contributed to Reading Materials (level III).
My thanks to:

- Justin McKenzie Smith – for his continual advice and encouragement;
- Irma Liparteliani – computer manager;
- Tamta Tabukashivili – cover and book designer;
- All the teachers who piloted the materials, especially teacher, proofreader – Nino Toidze.

First edition 2019

© ნანა შავთვალაძე, 2019, #7853, თბილისი, საქართველო
საკითხავი მასალა – III

© ნანა შავთვალაძე, 2005, ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატები
საკითხავი მასალა – III

© Nana Shavtvaladze, 2019, #7853, Tbilisi, Georgia,
Reading Material – III

© Nana Shavtvaladze, 2005 #TXu 1-227-151, Washington, D. C. USA,
Reading Material – III

ISBN 978-9941-8-1964-3

ენის სკოლა, თბილისი, საქართველო
Language School, Tbilisi, Georgia

სერია – ბილიკი, საკითხავი მასალა (დონე III)
Seria – Biliki, Reading Materials (Level III)

სარჩევი

I. ინტერვიუები

1. **ინტერვიუ I** 06
2. **ინტერვიუ II** 07
3. **ინტერვიუ III** 07
4. **ინტერვიუ IV** 09
5. **ინტერვიუ V** 12
6. **ინტერვიუ VI** 13
7. **ინტერვიუ VII** 14
8. **ინტერვიუ VIII** 15
9. **ინტერვიუ IX** 16
10. **ინტერვიუ X** 18
11. **ინტერვიუ XI** 19
12. **ინტერვიუ XII** 20
13. **დიდი ბრიტანეთის ელჩის სიტყვები** 21

II. ადაპტირებული ტექსტები

1. **მთამსვლელები** – როგორ შეარქვა ბრიტანეთის დედოფალმა მიხეილ ხერგიანს „კლდის ვეფხვი” 24
2. **სამზარეულოში** 29
3. **ქართულ ქორწილში** – ჩემი ქორწილი 31
4. **ჟესტიკულაცია** – რა არის სხეულის ენა? 34
5. **ავარიები** 37
6. **დღესასწაულები** 39
7. **სპორტი და ქართველები** 43
8. **ნეტავ იქ ყოფილიყავი?** 46
9. **ცნობილი ქართველები**
   ალექსანდრე ქართველი – ავიაკონსტრუქტორი 49
10. **ფულის ხარჯვა** –
    როგორ ვისწავლო ფულის ყაირათიანად ხარჯვა? 52
11. **ფათერაკები** – „ზღვის მამლუქები“ ფათერაკების პირისპირ 55
12. **ცხოვრებისთვის საჭირო ქმედებები** –
    სასიკეთო ცვლილებები სიახლისაკენ სწრაფვისთვის 58

III. ბუდობრივი ლექსიკონი

1.	თამაშობს/თამაში	- plays/to play	63
2.	კითხულობს/კითხვა	- reads/to read	64
3.	ფიქრობს/ფიქრი	- thinks/to think	65
4.	ლაპარაკობს/ლაპარაკი	- speaks/to speak	66
5.	ლაპარაკობს/მოლაპარაკება	- negotiats/to negotiate	67
6.	მგზავრობს/მგზავრობა	- travels/to travele	68
7.	მუშაობს/მუშა	- works/work	69
8.	სწავლობს/სწავლა	- studes/study	70
9.	მღერის/სიმღერა	- sings/sing	71
10.	სჯის/დასჯა	- punishes/to punish	72
11.	ხატავს/დახატვა	- paints/to paint	73
12.	საზღვრავს/განსაზღვრა	- defines/to define	74
13.	ტვირთავს/ტვირთი	- loads/to load	75
14.	წერს/წერა	- writes/to write	76
15.	ააქტიურებს/გააქტიურება	- activates/to activate	77
16.	აინტერესებს/ინტერესი	- interests/to interest	78
17.	აბევრებს/ბევრი	- multiplies/to multiply	79
18.	აბრაზებს/ბრაზი	- makes angry/to make angry	80
19.	აბრუნებს/დაბრუნება	- returns/to return	81
20.	აგრძელებს/გაგრძელება	- continues/to continue	82
21.	აგრძელებს/გრძელი	- lengthens/to lengthen	83
22.	ადასტურებს/დასტური	- confirms/to confirm	84
23.	ადანაშაულებს/დადანაშაულება	- blames/to blame	85
24.	ავითარებს/განვითარება	- develops/to develop	86
25.	ავრცელებს/გავრცელება	- spreads/to spread	87
26.	აკანონებს/დააკანონებს	- legalizes /to legalize	88
27.	აკვირვებს/დაკვირვება	- observes/to observe	89
28.	ამარცხებს/დამარცხება	- defeats/to defeat	90
29.	ამზადებს/მომზადება	- prepares/to prepare	91
30.	ამთავრებს/დამთავრება	- ends/to end	92
31.	ამოწმებს/შემოწმება	- checks/to check	93
32.	ამტკიცებს/დამტკიცება	- proves/to proves	94

33. ამშვიდებს/მშვიდი - calms/to calm down 95
34. ანიჭებს/მინიჭება - grants/to grant 96
35. ასწავლის/სწავლება - teaches/to teach 97
36. ატარებს/ჩატარება - conducts/to conduct 98
37. ატარებს/გატარება - spends/to spend 99
38. აფასებს/დაფასება - appreciates/ to appreciate 100
39. აფასებს/შეფასება - evaluates/ to evaluate 101
40. აფერხებს/შეფერება - delays / to delay 102
41. აქვეყნებს/გამოქვეყნება - publishes/ to publish 103
42. აშენებს/შენება - builds/ to build 104
43. აცხადებს/გაცხადება - announces/ to announce 105
44. ახერხებს/ხერხი - manages/ to manage 106
45. აწესებს/დააწესებს - appoints / to appoint 107
46. აჯარიმებს/დაჯარიმება - fines/ to fine 108
47. აჯილდოებს/დაჯილდოება - rewards/ to reward 109
48. იღებს/მიღება - receives/ to receive 110
49. იღებს/აღება - takes/ to take 111
50. პატიჟებს/დაპატიჟება - invites/ to invite 112

IV. პასუხები 113

I. ინტერვიუები

ინტერვიუ I

ინტერვიუ ბრიტანეთის ელჩ – დენის ქიფთან

ტელევიზია „ივერიის“ ჟურნალისტი, ელენე აბულაძე

– რას ნიშნავს თქვენთვის დიდი ბრიტანეთი?

– მე ბრიტანელი ვარ, დედა შოტლანდიელი მყავს. გვარი ირლანდიური მაქვს, დავიბადე ინგლისში. დიდი ბრიტანეთი ჩემი მშობლიური ქვეყანაა, ჩემი სამშობლოა. მე თავს მის კუთვნილ ნაწილად ვგრძნობ. განსაკუთრებით დიდია ჩემი პასუხისმგებლობა, როცა ჩემი ქვეყნის გარეთ ვმუშაობ. მე სრულიად შეგნებული მაქვს, რომ მე სახე ვარ ჩემი ერისა და მკვიდრი მამულისა ყოველ უცხო ქვეყანაში.

– არის თუ არა უპირატესობა თქვენი ქვეყნისათვის კონსტიტუციური მონარქია?

– ინგლისი იყო, არის და იქნება ტრადიციული ქვეყანა. კონსტიტუციური მონარქია დიდი ბრიტანეთის ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტია. ვფიქრობ, რომ ის კულტურული, სოციალურ-ტრადიციული ცხოვრების ნაწილია. ჩვენთვის პოლიტიკური სისტემა პარლამენტური დემოკრატიაა. ვიცი, რომ კონსტიტუციური მონარქიის საკითხი ქართველი პოლიტიკოსებისათვის ძალიან საინტერესოა. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ქართველ მოქალაქეებს შეუძლიათ ასეთი საკითხის გადაჭრა. ეს ფრიად საინტერესო იქნება. არ ვფიქრობ, რომ დიდი ბრიტანეთის ისტორია ამ კუთხით საქართველოს დაეხმარება.

– როდის და რა შეიტყვეთ პირველად საქართველოზე?

– საერთოდ, ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ასეთი ქვეყანა არსებობდა. სტუდენტობისას ცოტა რამ წავიკითხე საქართველოს შესახებ, ვინაიდან კლასიკურ ფილოლოგიაზე ვსწავლობდი. 1981 წელს, როდესაც საბერძნეთში, ათონის მთაზე, ვიყავი ვნახე „ივირონის“ მონასტერი. იქ ერთ-ერთ ჩემს თანაკურსელთან ერთად, დავით ბრონდთან, ერთად გახლდით. დავითი ახლა უნივერსიტეტის პროფესორია, მან 15 წლის წინ დაწერა წიგნი „ძველი-ანტიკური საქართველოს შესახებ.“ რა თქმა უნდა, ეს წიგნი წავიკითხე. ასე რომ, საქართველოს შესახებ ცოტა რამ გამეგო, მაგრამ ის არ ვიცოდი, რომ საქართველოს ელჩი გავხდებოდი. არჩევანის წინაშე როცა დავდექი და საქართველოში მუშაობა გადავწყვიტე, მაშინ დიდძალი მასალა მოვიპოვე და გავეცანი ამ შესანიშნავ ქვეყანას.

– რომელი ქართული ტრადიცია მოგწონთ და რატომ?

– ბევრი კარგი ტრადიცია აქვთ ქართველებს. მიჭირს გამოყოფა, მაგრამ მაინც აღვნიშნავდი, რომ თქვენ პატივს სცემთ ოჯახურ სუფრას. აქ ჩანს ქართველის დამოკიდებულება ღმერთთან, მშვიდობასთან, უფროსებთან სტუმრებთან და ა.შ.

– რა იქნება თქვენი რჩევები და სურვილები ტელემაუწყებლობა „ივერიისთვის“?

– გისურვებდით, რომ მრავალი გადაცემა მოგემზადებიოთ და ყოველთვის წარმატებული ეთერი გქონოდეთ.

II. ადაპტირებული ტექსტები

1-1. მთამსვლელები

თითქმის შუაღამეა და ჩემი მომდევნო ქართული **თავგადასავლისთვის** ვემზადები. **ამჯერად** წინ დიდი სიახლე მელის. თუ ამინდი შეგვიწყობს ხელს, ზღვის დონიდან 5054 მეტრ სიმაღლეზე ყაზბეგის მყინვარწვერს **დავლაშქრავთ.** როგორც ყოველთვის, ახლაც გვიანობამდე მღვიძავს და იმედი მაქვს, ყველა საჭირო ნივთი ჩავალაგე. თბილისში ცხელი ზაფხული დგას, მაგრამ მყინვარწვერზე ზამთარი **დაგვხვდება** და მომზადების გარეშე ასვლა **სახიფათოა.** ჩვენს მოგზაურობას **გაუძღვება** გამოცდილი ქართველი მთამსვლელი, რომელიც სამთო **აღჭურვილობით** მომზადებული დაგვხვდება.

ყოველთვის მიყვარდა ბუნება და ლაშქრობა. საქართველო ამ მხრივ განსაკუთრებულია. აქ ერთ მოგზაურობაზე შეიძლება **წააწყდე** საკმევლის სუნითა და საგალობლით **გაცოცხლებულ** უძველეს მონასტერს, შუასაუკუნოვან ნაშალ ციხე-სიმაგრეს, თაობების განმავლობაში **დამპყრობლებისგან** დასაცავად აღმართულ ქვის კოშკებს, თავის ფარაზე მზრუნველ ქეჩისქუდიან მეცხვარეს, მთის **ანკარა** ნაკადულს, ჩანჩქერად რომ ეშვება, მსოფლიოში უნიკალურ, ველური ბუნების ნაზ ყვავილებს; შორს, თავს ზემოთ **მოლივლივე** არწივს, გუგულის უწყვეტ ძახილს, თოვლით დაფარული კავკასიონის ქედის ხედებს და შესაძლოა, მოშორებით შავ ზღვაზე მზის ჩასვლასაც. დღის ბოლოს შორიახლოს კარვებით დაბანაკებული ქართველები **დაჟინებით** მიგიპატიჟებენ სუფრასთან, რომ გაგიზიარონ საჭმელი, ოჯახის ღვინო, ჭაჭა და ადღეგრძელონ ამ ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო. მე ეს ყველაფერი და ამაზე ბევრად მეტიც გამომიცდია.

მალე წავალ დასაძინებლად და ჩაძინებამდე იმაზე ვიფიქრებ, რაიმეს ჩალაგება ხომ არ დამავიწყდა, როგორი სამუშაო დღე მქონდა და რა შეიძლებოდა გამეკეთებინა სხვანაირად ან რა მეთქვა უკეთ. თავის წიგნში „საქართველო პოეზიის მთებში“, პიტერ მესმითი ყაზბეგის მყინვარწვერზე წერდა: „ამ თოვლიანი ბრწყინვალების პირისპირ, ამ **უსასრულობის** შემხედვარე, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა მცირე რაღაცებს (მაგალითად, სამსახურს) ცხოვრებაში?“ ხვალ იქ რომ მივალ, მწვერვალამდე რომც ვერ მივაღწიოთ, ვიცი, რომ კვლავ შევიგრძნობ **მარადიულობასა** და შინაგან სიმშვიდეს, რომელიც მხრებზე ნელ-ნელა, აბრეშუმის მსუბუქი ყელსახვევივით დამეფინება; წყალობას, რომელიც ღმერთმა საქართველოს უბოძა და რომელსაც ქართველები **ოდითგანვე დაუშურებლად** უზიარებენ მათ, ვინც მშვიდობით მოდის.

ელისაბედ რუდი

*** სიტყვების განმარტება:**

1. **თავგადასავლისთვის** – მოგზაურობისთვის, საინტერესო ამბებისთვის, რომლებიც მოგზაურობის პერიოდში შეგხვდება.
2. **ამჯერად** – ახლა, ამ დროს, ამ პერიოდში.
3. **დავლაშქრავთ** – მივალთ, ავალთ ბოლომდე, ვნახავთ იქ ყველაფერს.
4. **დაგვხვდება** – შეგვხვდება, იქნება.
5. **სახიფათოა** – საშიშია, არ არის მშვიდი.
6. **გაუძღვება** – წაიყვანს, იქნება გიდი.

III. ბუდობრივი ლექსიკონი

1.---------- -stem- #	
2. ---------- noun/adjective	Question – What?/What kind of?
3. (preverb)/---------- Infinitive	Question – What?

Wordbulding

4. (preverb)/მ/მა ---------- ელ --	Question – Who?/What? (mostly person)
5. (preverb)/სა ---------- ელ --	Question – What kind of? (future tense)
6. (preverb) ---------- ულ --	Question – What kind of? (past tense)
7. (preverb) უ ---------- ელ --	Question – What kind of? (negative form)
8. ნა ----------	Question – What? (past tense)
9. (preverb)/---------- ად	Question – How? (adverb)

Verbs

10. (preverb)/---------- ება	Passive verb
11. (preverb)/---------- 0- /-ი/-ავ/-ებ-/ობ --	Active verb

-კეთ-	-do-	#
----------	არ აქვს.	
გა/-**კეთ**-ება	რა? – მაგ.: რისი გაკეთება გინდა?	
მ-**კეთ**-ებ-ელ-ი	ვინ? – მაგ.: ვინ არის ამ საქმის გამკეთებელი?	
გა-სა-**კეთ**-ებ-ელ-ი	როგორი? (მომავალი) – მაგ.: ეს ჩემი გასაკეთებელია!	
გა-**კეთ**-ებ-ულ-ი	როგორი? (წარსული) – მაგ.: ლამაზია, შენი გაკეთებულია.	
გა-უ-**კეთ**-ებ-ელ-ი	როგორი? (უარყოფითი) – მაგ.: გაუკეთებელი დარჩა!	
ნა-**კეთ**-ებ-ი	როგორი? (წარსული) – მაგ.: ბევრჯერ აქვს ნაკეთები და ეშინია.	
გა-**კეთ**-ებ-ად	რად? – მაგ.: ცოტა მასალაა და გაკეთებად არ ღირს...	

ის **კეთდება**/ეს საქმე თავისით არ **კეთდება**. (ვნებითი გვარი)

ის მას **აკეთებს**/ლევან**ი** მანქანა**ს აკეთებს**. (მოქმედებითი გვარი)

მან ის **გააკეთა**/ლევან**მა** ლამაზი და დიდი ოფის**ი გააკეთა**.

IV. პასუხები

ადაპტირებული ტექსტები

1.2 * დაასრულეთ წინადადებები:

1. ისტორიამ ამდენი მასალა შემოგვინახა მიუდგომელ მწვერვალებზე ქართველთა ასვლის შესახებ.
2. ასევე აღმოაჩინეს ახალი გზა ყაზბეგის მთისკენ გერგეთის მხრიდან.
3. სწორედ მათ ჩამოხსნეს იალბუზიდან გერმანელი ნაცისტების დროშა და განდევნეს მათი სამთო ნაწილები.
4. ვინ არის ის მეორე, კლდის ვეფხვივით რომ დაცოცავს?
5. თენსინგ ნორგეი.
6. თქვა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მიიღებდა, სანამ არ გამოაცხადებდნენ, სვანი მიხეილ ხერგიანი საქართველოდან.
7. ქვის ცვენა როცა დაიწყო, ამ დროს კლდის შიდა კუთხეში ბუნებრივ ღარში იმყოფებოდა. მას მანევრირების საშუალება არ მიეცა, ქვის ცვენის დროს თოკი გადაიჭრა და „კლდის ვეფხვი“ სუალტოს მოსწყდა.

3. * აირჩიეთ კითხვებზე ზედმიწევნით სწორი პასუხი:

1. პირველად საბავშვო ბაღში შეხვდნენ ერთმანეთს, როდესაც სამი წლის იყვნენ.
2. რომ გავიზრდები, ნინი ცოლად უნდა მოვიყვანოო.
3. ტორტზე საყვარელი საკურას ყვავილებითა და წარწერით ხელი სთხოვა ნინის.
4. ქორწილის ყველა დეტალის მოფიქრებაზე ნინის დედამისი, და და ნიკუშას დედა ეხმარებოდნენ.
5. ნაზი, ჰაეროვანი, ჯადოსნური და ფარფატა საქორწილო კაბა.
6. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ, პირველ რიგში, ნაზ და ლამაზ მაკიაჟს გამიკეთებდა და თან ისეთს, რომ მთელი დღე ჩემი ღვარად ჩამოდენილი ცრემლებისთვის გაეძლო.
7. ქორწილში გამოყენებული იყო სიმწვანე და ნაზი ყვავილები, გალიები, ლამპიონები, სანთლები, ჩიტები.

4. * წაიკითხეთ წინადადება და აღნიშნეთ საუკეთესო პასუხი:

1. თავისებურად
2. თითოეულ
3. სიტყვიერად
4. არსებული
5. გარშემომყოფთა
6. ფართოდ
7. გამოაშკარავებაში